ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № (საექსპერტო მომსახურების შესახებ)
59-140411-01

ქ. თბილისი 14 აპრილი, 2011 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

მხარეები, ერთი მხრივ - **მიმწოდებელი:** ს.ს.ი.პ. – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში შემსრულებელი), წარმოდგენილი საქმის წარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ანა ნადირაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების (03.01.2011 წლის 1§1 ბრძანებით) ფარგლებში;

და მეორე მხრივ **შემსყიდველი:** შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდეგ – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში, ალექსანდრე საკანდელიძის მიერ, რომელიც მოქმედებს შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" გენერალური დირექტორის – ზურაბ ჯანჯღავას მიერ 2010 წლის 30 ივნისს გაცემული და ნოტარიუს ნანი სიდამონიძის მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე (რეესტრში რეგისტრაციის №10064498 1) ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გზით შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი, მომსახურების ხარისხი, მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების, მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მესამე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე საექსპერტო კვლევის ჩატარებას და საექსპერტო დასკვნის მომზადებას დაჩქარებული წესით (მომსახურება) – რომელიც მოიცავს **მაგისტრალური გაზსადენის ვალე-ვანის და ვანი-სენაკის მონაკვეთების მშენებლობისათვის საჭირო დერეფანში მოყოლილ მიწის ნაკვეთებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების შეფასება და მათი საკომპენსაციო ღირებულებების დადგენას.**

2.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მისთვის წარდგენილი მასალების (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა საჭირო მონაცემებს) ობიექტურ ანალიზს და მისი გაწევისას გამოყენებულ უნდა იქნას არსებული წესები, სტანდარტები, მოთხოვნები და პრაქტიკული გამოცდილება.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა დაიწყოს საექსპერტო ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან და დაასრულოს **10 (ათი)** დღის ვადაში. მომსახურების შესრულების ვადაში არ ჩაითვლება დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მომსახურების გაწევა შეჩერებულია შემსყიდველის მიზეზით.

2.4. საექსპერტო მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მას შემდეგ, როდესაც მხარეები მოაწერენ ხელს სასამართლო-საექსპერტო კვლევის სახეობის, რაოდენობისა და მომსახურების ტარიფების აღრიცხვისა და შემსყიდველის მიერ საექსპერტო საქმიანობის მიღება - ჩაბარების აქტს.

მუხლი 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. საექსპერტო მომსახურების ღირებულება განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს **№256** დადგენილებით დამტკიცებული ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების შესაბამისად.

3.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი ანგარიშფაქტურის და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად.

3.3. საექსპერტო მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **800.00 (რვაასი)** ლარს აღნიშნულ თანხაში შესულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და გადასახდელები.

მუხლი 4. შემსყიდველის უფლება-მოვალეობები

4.1. შემსყიდველი ვალდებულია:

4.1.1. საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე წარადგინოს საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად საჭირო მასალები კანონით დადგენილი წესით;

4.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.1.3. ხელი შეუწყოს მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვლევის შესრულებაში.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.2.1. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.

მუხლი 5. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად საჭირო მასალები მიიღოს და ჩაიბაროს კანონით დადგენილი წესით;

5.1.2. დროულად და ხარისხიანად ჩაატაროს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი გამოკვლევები;

5.1.3. აცნობოს შემსყიდველს სამუშაოს შესრულების პროცესში რაიმე დაბრკოლების არსებობის ან სავარაუდოდ მისი წარმოშობის შესახებ, რამაც გამოიწვია, ან შეიძლება გამოიწვიოს გამოკვლევის ჩატარების შეფერხება, ან ობიექტური მიზეზების გამო საჭირო ხდება გამოკვლევის შესრულების ვადის გაგრძელება;
5.1.4. დაიცვას გამოკვლევის შესრულების (საექსპერტო კვლევის) საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და არ დაუშვას მათი გახმაურება.
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
5.2.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება;
5.2.2. შეაჩეროს ხელშეკრულებით განსაზღვრული კვლევა, თუ ეს გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ან საკუთარი ნებით ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ამ ქმედებამ მეორე მხარეს მიაყენა მატერიალური ზიანი.
6.2. თუ შემსყიდველი უარს განაცხადებს მიმწოდებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული საექსპერტო დასკვნის მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული კვლევის საფასურის გადახდისაგან.
6.3. თუ მიმწოდებელი თავისი ბრალით, უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კვლევის შესრულების ვადას და ამით შემსყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი, მიმწოდებელი პასუხს აგებს მიყენებული მატერიალური ზიანისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.
6.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედება

7.1 ხელშეკრულების დადების თარიღად ჩაითვლება ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღე. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
8.2. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე (ანუ გავიდნენ ხელშეკრულებიდან) ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა (ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეცვლა, გაუქმება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.
9.2 მხარეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმებით გადასინჯონ წიმანდებარე ხელშეკრულების პირობები და შეიტანონ მასში ცვლილებები (მოახდინონ ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოდერნიზება) წერილობითი შეთანხმების გაფორმებით. ასეთი დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. "შემსყიდველს" ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ "მომსახურების" კონტროლი და/ან შეამოწმონ, სრულად არის თუ არა გაწეული "მომსახურება".
11.2. "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
11.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
11.3.1. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და ჩატარების ვადების წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;
11.3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება;

11.3.3. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;
11.3.4. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
11.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.
11.5. ყოველი გამოვლენილი დეფექტის და/ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს".

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ,,ფორს-მაჟორი", ანუ დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელის და/ან შემსყიდველის ნებასთან, მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ეს ისეთი გარემოებებია, რომელთა დადგომის შესაძლებლობა ალბათობაზეა დამოკიდებული. ანუ ამ გარემოებების დანამდვილებით დადგომის შესაძლებლობა არ არსებობს. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა გარემოებებით.
12.2. ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პირგასამტეხლოს დაკისრებას და საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების დაბრკოლება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
13.2. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 14. მხარეთა საფოსტო მისამართები
და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი – შპს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21; ტელ: (+995 32) 24 40 40;
ს/კ 206237491; "საქართველოს ბანკი"; ბ/კ 220101502; ა/ა 145770000
დირექტორი ფინანსურ საკითხებში
ალექსანდრე საკანდელიძე

მიმწოდებელი – სსიპ – ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
საფოსტო მისამართი და ინდექსი: ქ. თბილისი 0162, ილია ჭავჭავაძის გამზ. №84.
ტელ./ფაქსი: (995 32) 29-04-87, 23-42-55
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი ს/ს "ბაზისბანკი" ანგარიშწორების ნომერი №234294,
ბანკის კოდი: 220101956. ს/კ. 204852089

საქმის წარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის
ანა ნადირაშვილი